

## განცხადება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში **უსინათლოთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამაში** მონაწილეობის მსურველ პირთათვის

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №144) აცნობებს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 30 დეკემბრის №442/ნ ბრძანებით დამტკიცებულია **უსინათლოთა სოციალური ინტეგრაციის ქვეპროგრამა**.

2. შესყიდვის ობიექტია:

- უსინათლოებისათვის ქართულენოვანი კომპიუტერული ხმოვანი სინტეზატორის (პროგრამის) შექმნა, ტესტირება და ჩაწერა;

- პროგრამის ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ინტერნეტით და ციფრული მატარებლის მეშვეობით.

დაინტერესებულმა პირებმა სისტემის ტექნიკური პარამეტრები შეგიძლიათ იხილოთ სააგენტოს ვებ-გვერდზე ( [http://www.hespa.ge/files/122\\_182\\_315546\\_Usin\\_Teq\\_Param.pdf](http://www.hespa.ge/files/122_182_315546_Usin_Teq_Param.pdf) ) ან გაეცნოთ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №144, მესამე სართული, ოთახი №301.

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2010 წლის 20 აგვისტოდან 2010 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით.

4. ქვეპროგრამაში მონაწილეობის მსურველმა პირებმა გთხოვთ, 2010 წლის 18 აგვისტოს 18 საათამდე მოგმართოთ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №144, მესამე სართული, ოთახი №301.

5. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

5.1. იურიდიულმა პირებმა:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერი (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით - თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან);

5.2 ფიზიკურმა პირებმა:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

ბ) დოკუმენტი გადასახადის გადამხდელად დარეგისტრირების შესახებ (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით – თბილისის ან ქუთაისის საქალაქო სასამართლოდან).

5.3. როგორც ფიზიკურმა, ასევე იურიდიული პირებმა:

ა) გასაწევი მომსახურების დეტალური აღწერილობა;

ბ) უსინათლოებისათვის ქართულენოვანი კომპიუტერული ხმოვანი სინტეზატორის (პროგრამის) ტექნიკური პარამეტრები;

გ) ინფორმაცია მათ მიერ მსგავსი საქმიანობის განხორციელების შესახებ;

დ) გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა;

ე) ინფორმაცია მომსახურების გაწევის ვადის შესახებ;

6. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნას ორ ეგზემპარად – ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, ხოლო მეორე ეგზემპლარი – ქსეროასლის სახით.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – მათა ბუჩუკური ტელ.: 144 983, ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №144, მესამე სართული, ოთახი №301.